

საფიქრალი მეტაფორა

ცხოვრებაც მეტაფორაა, სადაც მხატვრულ სახედ ადამიანია გამოყენებული!

ბაკურიანიც მეტაფორაა, სადაც მხატვრულ სახედ მთა და სითეთრეა გამოყენებული!

სემინარიც მეტაფორაა, სადაც მხატვრულ სახედ(!) ერთმანეთთან ანალიტიკურად დაკავშირებული წარსული და მომავალია გამოყენებული!

მეტაფორულია ის, რომ ერთფურცლიანია ბაკურიანის სემინარის პროგრამა! ამ პროგრამას, როგორც ცხოვრებას, ორი მხარე აქვს – გარე და შიდა (არც ის არის შემთხვევითი, რომ ჯერ გარეს ვახსენებთ...). შემეცნების მხოლოდ ეს ხერხი (მხოლოდ მეტაფორა) უმკლავდება იმ შეუთანხმებელ, დაპირისპირებულ ცნებათა ერთობას, ეს პროგრამა რომ იტყვს:

ამ მეტაფორის სივრცეში მთავარი სასემინარო საკითხი `შერიგების კულტურა~ ბუნებრივად უკავშირდება რევაზ ლალიძის დაბადების 90 წლისთავს და მისი შემოქმედების იმ სიტბოს, შესარიგებლად განწყობილი ადამიანის სულში უცერად რომ შემოიჭრება...ხოლმე...

მეტაფორაა რეზო თაბუკაშვილის ანდერძისეული `სამშობლონაკმარობის~ შერწყმა უზომოდ გახსნილ მსოფლიო პოლიტიკურ სივრცესთან...

მეტაფორაა ილიას მიერ `საერთომარღვაწყვეტილად~ ნამხელი საზოგადოების მსოფლიო წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების სივრცეში ხსენება...

მეტაფორაა ევროპის საბჭოს სიმბოლიკითა და ძველი ქართული მრგვლოვანი ანბანით სემინარის პროგრამის გაფორმება...

შერიგებაც მეტაფორაა, გამარჯვებისა და დამარცხების კულტურას, არჩევნების კულტურას, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის კულტურას, კონფლიქტის მოგვარების კულტურას, დემოკრატიული პროცესის ხარისხის გაუმჯობესების კულტურას რომ აერთიანებს...

მშვიდია ბაკურიანი, მშვიდი და თეთრი... წითელ დარბაზში ორი რამ ისმის და იგრძნობა, ორ რამეზე ფიქრობენ – რევაზ ლალიძის ნატიფ ჰარმონიაზე და მარღვიან მოხევეურ მეტაფორაზე: `მღვრიემდე გაგვიმარჯოსო!~

თუ ეთნიკური სიბრძნე `მეტაენაა~ მონათესავე ერთათვის, რევაზ ლალიძის შემოქმედება ასეთია მსოფლიოსათვის. შესაძლოა, ჩვენ `ჯერ არ დავბადებულვართ კონსტიტუციის წიაღში~, მაგრამ ჩვენ ამ შემოქმედების, ამ ესთეტიკის, ამ სიბრძნის წიაღში ვიშვით. ჩვენ ეს გვეთქმის და ასე გვეთქმის, ჩვენ ამაში ვართ ბუნებრივები... სხვას ვსწავლობთ, გულმოდგინედ და თავმდაბლად, მხოლოდ მეტაფორებით ვსწავლობთ!

ბაკურიანიც მეტაფორაა და საფიქრალი მეტაფორების სივრცე!

ესმა მანია
28 თებერვალი, 2011